თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №862237

ნომერი: AR1154377

თარიღი : 13.08.2013

გაცემის თარიღი : 30.08.2013

გაცნობის თარიღი : 27.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 76ბ , (ნაკვეთი N039/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა ჯაიანი პ/ნ 01008006027
- ირაკლი აბაშიძის 84

ორგანიზაცია:
- შპს ადია კოდი: 204541683

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2013 წლის 13 თებერვლის #543432 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 13 აგვისტოს #AR1154377 განცხადებით მომართა შპს „New Tbilisi“–სა და შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“–ს დირექტორმა გოჩა ჯაიანმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 თებერვლის #543432 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 თებერვლის #543432 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზირი #76ბ, (ნაკვ. #039/033) შპს ,,New Tbilisi"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მშენებარე მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2013 წლის 28 აგვისტოს ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადიმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია შპს “ახალი თბილისი“.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის #882013366960, თარიღი: 07.08.13; საკადასტრო კოდი: #01.14.03.039.033) საფუძველზე ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ვინაიდან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი აქვს ახალ მესაკუთრეს – შპს „ბიზნესცენტრი ვაჟაზე“–ს, სამსახურმა მიზანშეწონლილად ჩათვალა შეიტანოს ცვლილება 2013 წლის 13 თებერვლის #543432 ბრძანებაში და დამკვეთად შპს “ახალი თბილისი“–ს ნაცვლად მიუთითოს შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13